



CRG ბარიერების შეფასება ტუბერკულოზის მაღალი რისკის ჯგუფებისთვის საქართველოში

დონორი: Global Fund

პროგრამა : TB REP 2.0

**კოორდინატორი ორგანიზაცია:
PAS Center - Centre for Health Policy and
Studies**

**პროექტის შემსრულებელი:
ა/ო „ახალი ვექტორი“**

**პროექტის ვადები:
აგვისტო, 2019 - მაისი, 2020**

პროექტზე მუშაობდნენ:

კონსტანტინე ლაბარტყავა - პროექტის მენეჯერი

მარიამ ჯიბუტი - კვლევის კონსულტანტი

ლია ბერიტაშვილი - იურიდიული საკითხების კონსულტანტი

ლაშა ლორია - გენდერული საკითხების კონსულტანტი

რეკომენდატორები

მარი ჩოხელი, TB People

გვანცა კვინიკაძე, TB People

კვლევა შესაძლებელი გახდა PAS (Center For Health Policies and Studies) ცენტრის მხარდაჭერით, TB REP პროგრამის ფარგლებში, Global Fund ის დაფინანსებით. დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს უშუალოდ PAS ცენტრის შეხედულებებს. გვსულს მადლობა გადავუხადოთ ცენტრს და პროექტში ჩართულ აქტორებს.

განსაკუთრებით, მადლობას ვუხდით ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს კვლევის პროცესში გამოჩენილი მხარდაჭერისა და შეტანილი წვლილისათვის.

ასევე, მადლობას ვუხდით კვლევის პროცესში ჩართულ პაციენტებს, ექსპერტებს და სტეიკჰოლდერებს;

შინაარსი

აბრევიატურები	5
შეჯამება	6
შესავალი	9
შეფასების მიზანი	10
ცხრილი 1. ბარიერები, რეკომენდაციები, დონისძიებები	11
შეფასების მეთოდები	17
1. ძირითადი ჯგუფი	17
2. დაინტერესებული მხარეების შეხვედრები	17
3. სამაგიდო მიმოხილვა	18
4. სამიზნე პოპულაციისთვის პრიორიტეტის მინიჭება	19
5. მონაცემთა შეგროვება	20
ლიტერატურული მიმოხილვა	23
1. სამართლერივი ასპექტები / ადამიანის უფლებები	23
გენდერი	29
ახალი აღმოჩენები	34
ძირითადი პოპულაცია	35
ტუბერკულოზის ტესტირებები	38
იძულებით გადაადგილებული პირები	40
7. სტიგმა	42
8. ზოგადი	45
მიგნებების შეჯამება (TB JOURNEY 7 საფეხურის მიხედვით)	47
I - სიმპტომების ამოცნობის ძირითადი ბარიერები	47
II- მკურნალობის მოძიების ძირითადი ბარიერები	47
III-სწორი დიაგნოზის დასმის ძირითადი ბარიერები	48
IV - მკურნალობის დაწყების ძირითადი ბარიერები	48
V-მკურნალობაზე დამყოლობისთვის მხარდაჭერის მიღების ბარიერები	49
VI-მკურნალობის დასრულების ძირითადი ბარიერები	49
VII- მკურნალობის შემდგომი სერვისების მიღების ძირითადი ბარიერები	50

დანართები

51

საკონსულტაციო ჯგუფის წევრები და მათი ორგანიზაციები	51
გამოყენებული წყაროები / დოკუმენტები	51
საორიენტაციო შეხვედრა	53
შეხვედრას დაესწრნენ:	53
სამიზნე პოპულაციების პრიორიტიზების შეხვედრა	54
მონაწილეთა სია	55
ვალიდაციური შეხვედრა	56
Participant List	57
სამიზნე პოპულაციების პრიორიტიზებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი	58
სამიზნე ინფორმანტებთან ინტერვიუ	60
სიდრმისეული ინტერვიუების სადისკუსიო გეგმა	64
ფოკუს ჯგუფები	68
ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა	68
საზოგადოება- სტიგმაფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა	72
ოჯახი-სტიგმაფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა	73

აბრევიატურები

CRG	თემი, უფლებები, გენდერი
CSO	სამოქალაქო ორგანიზაცია
DOT	ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობა
GF	გლობალური ფონდი
HIV	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები
KAP	ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის კვლევები
MDR TB	მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი
MOH	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NCTBLD	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NSP	ეროვნული სტრატეგიული გეგმა
NTP	ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა
PHR	მაღალი რისკის მქონდე პოპულაცია
PWID	ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლები
PWTB	ადამიანები ტუბერკულოზის დიაგნოზით
SMT	ჩანაცვლებითი თერაპია
TB	ტუბერკულოზი
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
XDR TB	ზემდგრადი ტუბერკულოზი

შეჯამება

ეს შეფასება განახორციელდა “ახალი ვექტორის” მიერ “ტუბერკულოზის მკურნალობის ადამიანზე მორგებული მკურნალობის მოდელის ხარისხის გაუმჯობესება- DR-TB- ის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ზრუნვის ახალი მოდელი” ან TB-REP 2.0 პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური ფონდის მიერ.

მოხსენება ჩამოყალიბდა სამაგიდო მიმოხილვის, ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების განხილვების შედეგად მიღებული ხარისხობრივი მონაცემების დამუშავების საშუალებით. ყველა ინსტრუმენტი დამტკიცებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიოეთიკის საბჭოს მიერ. შეფასების მეთოდები მოიცავდა ორ მულტისტეიკჰოლდერების /დაინტერესებული მხარეების შეხვედრას, რათა დადგენილიყო შეფასების პრიორიტეტები, და შემდგომში, შემუშავებულიყო ბარიერების გადაჭრისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, შეიქმნა ძირითადი სამუშაო ჯგუფი რათა CRG შეფასების იმპლემენტაციისთვის ეხელმძღვანელა.

დაინტერესებული მხარეების დახმარებით სამი ძირითადი პოპულაცია გამოიკვეთა: პატიმრები (ყოფილი პატიმრები), იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) და ადამიანები, რომლებიც იყენებენ ნარკოტიკებს (PWID). შეფასება მიზნად ისახავს უფრო ღრმად გამოიკვლიოს ამ პოპულაციების წინაშე არსებული რისკები და ბარიერები.

შეფასებისას გამოვლენილი ბარიერები კატეგორიზირებულია ტუბერკულოზის საფეხურების მიხედვით. გამოიყოფა 7 საფეხური და მათ შორისაა ტუბერკულოზის სიმპტომების ამოცნობა, დიაგნოზირება, მკურნალობა, მხარდაჭერა და მკურნალობის შემდგომი პერიოდი. შეფასებამ ასევე განსაზღვრა ბარიერები გენდერის, სტიგმის და ადამიანის უფლებების სფეროებში. ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერები:

გენდერი: საქართველოში ტუბერკულოზის დიაგნოზი უფრო მეტ კაცს დაუსვეს, ვიდრე ქალს. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ტუბერკულოზის მქონე ქალები შესაძლოა უფრო მეტად აგვიანებენ მკურნალობის პროცესში ჩართვას ოჯახური პასუხისმგებლობების, ფინანსური პრობლემების (განსაკუთრებით ღარიბ რეგიონებში), ან ბავშვებზე ზრუნვის გამო. აგრეთვე, როგორც წესი, ქალებს უფრო ნაკლებად უჭერენ მხარს ოჯახის წევრები. კაცებთან შედარებით ქალთა ცნობიერება ტუბერკულოზის შესახებ უფრო დაბალია. თუმცა, მკურნალობის შედეგები ქალების შემთხვევაში უკეთესია ვიდრე კაცების, მათ შორის მკურნალობის წესების დაცვის კუთხითაც. მამაკაცები დიაგნოზირებას და მკურნალობას სამსახურის და ანაზღაურების დაკარგვის შიშის გამო აგვიანებენ. რესპონდენტებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ტუბერკულოზის ფსიქოლოგიურ ასპექტს, რომ მამაკაცები პრომისუენარონი ხდებიან მკურნალობის დროს და საჭიროებენ მხარდაჭერას. LGBTI პირებმა გამოთქვეს შიში, რომ შესაძლოა ჯანდაცვის პერსონალი მათ არასათანადოდ მოეხდინოს.

სტიგმა: სტიგმა ტუბერკულოზის ყველა სტადიაზე დიდი ბარიერია, რაც ხელს უშლის ტუბერკულოზის დიაგნოზირებას და მკურნალობას, მათ შორის გენდერული სპექტრის გათვალისწინებით. იგი გავლენას ახდენს სამიზნე პოპულაციებზე და ტუბერკულოზის მქონე პირებზე, რომლებიც კონკრეტულად არ მიეკუთვნებიან დაუცველ ან რისკ ჯგუფებს. ჩვენმა შეფასებამ დაადგინა, რომ სტიგმამ და დისკრიმინაციის შიშმა შეაჩერა რესპოდენტები, ოჯახის წევრებისთვის და დამსაქმებლებისთვის, ეთქვათ, რომ ტუბერკულოზი ჰქონდათ. ტუბერკულოზის სამკურნალო მედიკამენტების მიღება DOT ექთნების დახმარებით არ წარმოადგენდა საუკეთესო ვარიანტს იმ ადამიანებისთვის, ვინც ერიდებოდა საკუთარი დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას თემში.

ადამიანის უფლებები: ზოგიერთი რესპოდენტის აზრით, სამედიცინო დაწესებულებები პაციენტებს უტარებენ ფასიან ტესტებს, იქამდე სანამ მიაწვდიან ტუბერკულოზის უფასო ტესტირების არსებობის შესახებ ინფორმაციას. სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურმა შეიძლება მოსთხოვოს აპლიკანტს მიაწოდოს ტუბერკულოზის მკურნალობის ისტორია, რაც არ შეესაბამება შრომის კანონმდებლობას. როდესაც ადამიანი არის სოციალურად დაუცველი და იღებს მკურნალობის სტიმულირებისთვის თანხას, სახელმწიფომ შესაძლოა ეს ინსენტივი ჩათვალოს დამატებით შემოსავალად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სოციალური დახმარების გაუქმება.

სამიზნე პოპულაციები: ნარკოტიკის მომხმარებელმა პირებმა განაცხადეს, რომ სამკურნალო დაწესებულებებს სამართლებრივი დევნის შიშის გამო ერიდებიან. იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ჯანმრთელობის ობიექტების ტერიტორიული ბარიერებიარსებითია. იძულებით გადაადგილებული პირები განსაკუთრებით ერიდებიან თავისი დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, რათა არ მოხდეს მათი ან მათი ოჯახის სტიგმატიზება, ვინაიდან ისინი ცხოვრობენ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ორმაგი სტიგმის შემთხვევა ხშირია, როდესაც საქმე ტუბერკულოზის დიაგნოზირებას და PWID პირებს ან ყოფილ პატიმრებს ეხება.

ძირითადი რეკომენდაციები:

- ინფორმაციული დეფიციტის შევსება ტუბერკულოზის შესახებ გენდერზე, სამიზნე პოპულაციებზე და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ინფორმაციის მიწოდებით.
- ტუბერკულოზის მქონე ადამიანების უფლებების ადვოკატირება, მათ შორის მუშაობის უფლების, დისკრიმინაციისა და კონფიდენციალურობის ჩათვლით.
- მკურნალობის ინსენტივების მიღების მიუხედავად, ტუბერკულოზის მქონე პირებისთვის სოციალური დახმარების გაგრძელების ადვოკატირება.
- ინვესტიცია ტუბერკულოზის პროგრამის შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, განსაკუთრებით კი პერიფერიებში, იმ ობიექტების ჩათვლით, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებს ემსახურებიან.

- ადვოკატირების, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, მათ შორის სამიზნე პოპულაციებს და LGBTQI მხარდამჭერ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს შეიმუშაოს ტუბერკულოზის სერვისების მიწოდების კუთხით ერთი ფანჯრის პრინციპი.
- ამბულატორიული მკურნალობის ადვოკატირების გაგრძელება და ადამიანებზე ორიენტირებულ მოდელის დანერგვა, სერვისების დიფერენცირების და მათი კონკრეტულ პაციენტებზე მორგების გზით.
- პაციენტების დამყოლობის გაზრდა პაციენტებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის გენდერულად სენსიტიური ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაწევით (თანასწორგანმანათლებლების, ან სოციალური მუშაკების მიერ).

შესავალი

“ტუბერკულოზის მკურნალობის ადამიანზე მორგებული მკურნალობის მოდელის ხარისხის გაუმჯობესება- DR-TB- ის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ზრუნვის ახალი მოდელი” ან TB-REP 2.0 დაფინანსებულია გლობალური ფონდის მიერ, ძირითადი მიმღები PAS, ჯანმრთელობის პოლიტიკის და კვლევების ცენტრის მეშვეობით. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 11 ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი). პროექტი ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას ტუბერკულოზის მკურნალობაში, ადამიანებზე ორიენტირებული მზრუნველობის წარმოებაში, ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და მდგრადობის უზრუნველყოფაში.

TB REP 2.0- ის ქოლგის ქვეშ, PAS ჯანმრთელობის პოლიტიკის და კვლევების ცენტრმა გამოაცხადა მცირეგრანტი CRG (თემი, უფლებები, გენდერი) შეფასებების წარმოებისათვის რამდენიმე პრიორიტეტულ ქვეყანაში, ტუბერკულოზის დიაგნოზირებასა და მკურნალობის წვდომისათვის ბარიერების გამოსავლენად, განსაკუთრებით ტუბერკულოზის სამიზნე და მოწყვლად პოპულაციებში.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მხრიდან, კვლევის ჩატარებაზე გრანტის მოპოვება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალ ვექტორს“ ერგო. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“ წარმოადგენს საქართველოში პირველ ნარკოტიკების მომხმარებელთა სათემო ორგანიზაციას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს 2006 წლიდან. სათემო ორგანიზაციის მისიაა: „ნარკოტიკების მომხმარებელთა, მათ შორის აივ დადებითი, B და C ჰეპატიტებით და ტუბერკულოზით დაავადებულთა გაჯანსაღების და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა“. შესაბამისად ორგანიზაცია ახორციელებს სერვისულ საქმიანობას ზიანის შემცირების კუთხით, ასევე წარმართავს საადვოკაციო პროცესებს და მონაწილეობს სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ანდილობრივ და ეროვნულ დონეზე.

შეფასების მიზანი

პროექტის მიზანი:

შეფასება თემის, უფლებების, გენდერის და სტიგმატიზების საკითხებს ტუბერკულოზზე რეაგირების სტრატეგიების გაძლიერების კუთხით მოიცავს, იმ ადამიანების მოძიების გზით, რომლებიც ჯანდაცვის სისტემის მიღმა რჩებიან.

პროექტის ამოცანები:

გადაწყვეტილების მიმღები პირების და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების თემის, უფლებების და გენდერის საკითხების საქართველოში ტუბერკულოზის შეფასების პროცესში ჩართვა.

2. ბარიერების იდენტიფიცირება და დაძლევა, რომლებიც დაკავშირებულია ტუბერკულოზის მქონე ადამიანების თემის, უფლებების, გენდერის და სტიგმატიზების საკითხებთან.

3. კონკრეტული რეკომენდაციების ჩამოყალიბება და მოქმედების გეგმაში წვლილის შეტანა, იმისთვის რომ შემცირდეს აღნიშნული ბარიერები.

შეფასების შედეგად გამოვლინდა 40 ბარიერი, მათგან 25 - ისათვის მულტი-სტეიკჰოლდერებმა /დაინტერესებულმა მხარეებმა ვალიდაციური პროცესის შედეგად პრიორიტიზება მიანიჭეს 25 მათგანს და წარმოადგინეს რეკომენდაციები მათ გადასაჭრელად. წარმოდგენილი რეკომენდაციები მიემართება ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პირების სათემო, უფლებრივ, გენდერულ და ზოგად ბარიერებს.). აღსანიშნავია, რომ ბარიერთა და რეკომენდაციათა უმეტესობა ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე ზოგადი პოპულაციისთვის და შერჩეული სამიზნე პოპულაციებისთვის (ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლები, იძულებით გადაადგილებული პირები, ყოფილი პატიმრები) მსგავსი იყო. ის შემთხვევები, რომელთა ბარიერი/რეკომენდაცია ერგებოდა რომელიმე კონკრეტულ სამიზნე პოპულაციას, გამოკვეთილია ბარიერებისა და რეკომენდაციების ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. ბარიერები, რეკომენდაციები, ღონისძიებები

ბარიერები, რომლებსაც პრიორიტეტს დაინტერესებული მხარეები ანიჭებენ	დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები	შეთავაზებული ღონისძიებები
• I- სიმპტომების ამოცნობის ძირითადი ბარიერები		
- ინფორმაციის ნაკლებობა/ მათ შორის სიმპტომების შესახებ (ეხება სამიზნე პოპულაციებს და გენდერის საკითხებსაც) - აივ ინფექციის მქონე ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია ტუბერკულოზის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მაღალია კოინფექციის რისკი - ქალები პრიორიტეტს არ ანიჭებენ მკურნალობის ძიებას სხვა ვალდებულებების გამო.	- ცნობიერების და ცოდნის ამაღლება/ გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ინფორმაციული კამპანია, რომელიც პირებს მიაწვდის განახლებულ ინფორმაციას, სად უნდა გაიარონ ძირითადი სამედიცინო შემოწმება და როგორ ამოიცნონ დაავადების სიმპტომები. - მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც დაეხმარება ქალებს, რომ ოჯახური ვალდებულებების გამო უარი არ თქვან მკურნალობის მოძიებაზე. - ბარიერების დაძლევა ინფორმაციული კამპანიის გზით მსოფლიო ტუბერკულოზის დღეზე.	- გაკეთდეს გენდერულად სენსიტიური, ცნობიერების ასამაღლებლად მოკლე ვიდეო, რომელიც შეეხება ტუბერკულოზის შესახებ არსებულ გამოცდილებებს, თემის/ოჯახის მხარდაჭერის საჭიროებას, ტუბერკულოზის ტესტირების დაწესებულებების რუკას და მკურნალობის ცენტრების ცხელი ხაზების ნომრებს. (ინფოგრაფიკული ვიდეო მოამზადა New Vector-მა TB REP 2.0-ის ფარგლებში) - გაკეთდეს მინიმუმ ერთი ღონისძიება ტუბერკულოზით დაზარალებული თემებთან (მაგალითად ეთნიკური უმცირესობები) მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად მსოფლიო ტუბერკულოზის დღეს, მათ შორის კულტურულად მისაღები აქტივობების განხორციელება ტუბერკულოზით დაზარალებულ თემთან ახლოს. - ელექტრონული სწავლების პლატფორმა - ქსელი "TBpeople" მუშაობს ელექტრონული სწავლების პლატფორმის შემუშავებაზე, რომელსაც სავარაუდოდ ეწოდება "TEACH METB", ("PASCenter" თანამშრომლობით "TB-REP 2.0" პროექტის ფარგლებში) რომელიც უზრუნველყოფს ინტერაქტიულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ტრენინგებს თემებზე, რომლებიც კავშირშია ტუბერკულოზის პრევენციასთან, დიაგნოზირებასთან, მკურნალობასთან, მზრუნველობასთან, ადამიანის უფლებების მხარდაჭერასთან, ინტეგრაციაზე ორიენტირებულ მკურნალობასთან, ადვოკატირებასთან, კომუნიკაციასთან, ცნობიერების ამაღლებასთან, სერვისის კონტროლთან და ასე შემდეგ. რაც მთავარია, კურსები მიეწოდება ყველა სამიზნე ჯგუფს ადვილად

		ხელმისაწვდომი, ვიდეო ლექციების, კითხვის მასალებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შერწყმის გზით. ეს პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ინსტრუმენტი ქალთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად.
II- მკურნალობის მოძიების ძირითადი ბარიერები		
- ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ თუ სად უნდა მიმართონ სამედიცინო შემოწმების გასავლელად. (ეხება სამიზნე პოპულაციებს და გენდერულად სენსიტიურ საკითხებსაც) - ფინანსური პრობლემები (განსაკუთრებით რურალურ დასახლებებში) და ოჯახის ბიუჯეტზე ნაკლები კონტროლი, მკურნალობის პარალელურად, ჯიბიდან გადასახადების დაფარვას კომპლექსურს ხდის. - ქალები მოკლებული არიან მხარდაჭერას შემოწმების დროს. (ქალები მარტო მიდიან შემოწმებაზე, ოჯახის წევრები, როგორც წესი კაცებს უფრო უჭერენ მხარს). - LGBTQI თემის წარმომადგენლებს აქვთ შიში, რომ საკუთარი იდენტობის გამო, მათ არასათანადოდ მოექცევიან, გახდებიან სტიგმის მსხვერპლნი. - ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის პირ-მა შემდეგ შესაძლოა გადადოს მკურნალობის მოძიება დისტანციის გამო(ძირითადად რეგიონები, ასევე ეხებათ იძულებით გადაადგილებულ პირებს) - ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლები, (მეტადონის პროგრამის გარეთ) შიშობენ, რომ ჯანდაცვის სისტემაში ვიზიტი კანონის წინაშე გამოააშკარავებს მათ.	- თემის საჭიროებების გათვალის-წინება (ნარკომომხმარებლები/ LGBTQI თემი). სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების შესაძლებლობა - მეტი კამპანიის განხორციელება ცნობიერების ასამაღლებლად, დაწყებული განათლების სისტემით.	- მრგვალი მაგიდის ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის, ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის, ჯანდაცვის სამინისტროს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ შორის სამიზნე პოპულაციებთან და გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები. - ადვოკატირება ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის დეცენტრალიზებისთვის. უფლება მიეცეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეიმუშაონ ერთი ჩარჩოს პრინციპი. - განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით სამედიცინო პროფილის მქონე უნივერსიტეტები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები წარადგენენ გენდერის ელემენტის სენსიტიურობას სასწავლო გეგმებში. განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სასკოლო სასწავლო გეგმის სახით წარადგენენ ინფორმაციას ტუბერკულოზის შესახებ. (რისკები, პრევენცია, სიმპტომები, დიაგნოზი, მკურნალობა, ზრუნვა და სტიგმა).

- III- სწორი დიაგნოზის დასმის ძირითადი ბარიერები		
- ქალების შემთხვევაში ნაკლებად მიაქვთ ეჭვი, რომ მათ შესაძლოა ტუბერკულოზი ჰქონდეთ, ამიტომ დიაგნოსტიკის პროცესი შესაძლოა გაჭინაურდეს. - ტუბერკულოზზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ზოგჯერ ოჯახის ექიმები ტესტირებას პაციენტს იმ დაწესებულებაში უტარებენ, სადაც მუშაობენ და უფასო ტესტირებისთვის დაუყოვნებლივ არ აგზავნიან ტუბერკულოზის მკურნალობის დაწესებულებებთან.	- ინფორმირებულობის ასამაღლებელი კამპანია, რომელიც მიაწვდის განახლებული ინფორმაციას, სად უნდა გაიარონ ძირითადი სამედიცინო შემოწმება და როგორ შეძლონ სიმპტომების ამოცნობა. (მათ შორის ტუბერკულოზის საერთაშორისო დღის ფარგლებში) - სპეციალური სადიაგნოზიკო ინსტრუმენტების შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება, რათა ოჯახის ექიმებმა გადაამისამართონ პაციენტები ტუბერკულოზის მკურნალობის ცენტრებში. - ოჯახის მიერ ქალების მხარდაჭერის საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც მიზნად დაისახავს ქალთა როლის გაძლიერებას როგორც თემის და ოჯახის ჯანმრთელი და სრულფასოვანი წევრისა. მიზნობრივი კამპანია ეთნიკური ჯგუფებისთვის და ქალებისთვის. - აივ/შიდსის თემთან და მათთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება ტუბერკულოზის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.	არსებული ცოდნის შეფასება, ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ინფორმაციული საჭიროებების დაკმაყოფილება: ხარვეზების გამოსავლენად ყველაზე ეფექტური აქტივობებია: მაგ. მოკლევადიანი ტრენინგი, არსებული ონლაინ რესურსის მითითება, სპეციალური (ონლაინ) რესურსის ან მასალების შემუშავება. ადვოკატირება იმისათვის, რომ ინდენტიფიცირებული ინტერვენციები ჩართული იყოს გლობალური ფონდის მიმდინარე მხარდაჭერილ აქტივობებში.

• IV- მკურნალობის დაწყების ძირითადი ბარიერები

• შიში, რომ “ქალი, რომელსაც ჰქონდა ტუბერკულოზი შეიძლება ვეღარ დაქორწინდეს”. • ტუბერკულოზის მქონე ქალს შესაძლოა დაშორდეს მეუღლე და ტუბერკულოზის ქონის გამო შვილების ნახვის საშუალება არ მიეცეთ. (პარტნიორის, ოჯახის წევრების ძალისხმევით). • ტუბერკულოზით დაავადებული პირებს ემინიათ, რომ მათი დიაგნოზი ზეგავლენას მოახდენს სამუშაო პოზიციაზე. ამის გამო, მათ ურჩევნიათ, რომ არ ჩაერთონ მკურნალობის პროცესში, რათა არ გამჟღავნდეს მათი დიაგნოზი. (ასევე ეხებათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რამდენადაც ცხოვრობენ შედარებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში) • პაციენტები ერიდებიან მათი დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რათა ოჯახის წევრების და გარშემომყოფების მიერ მათი სტიგმატიზება არ მოხდეს. (ასევე ეხებათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რამდენადაც ცხოვრობენ შედარებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში) • სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურმა შეიძლება მოითხოვოს სამუშაოზე მიღების განაცხადთან ერთად ტუბერკულოზის მკურნალობის ისტორია. კანონი არ აწესებს აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა მოთხოვნა შესაძლოა დაწესდეს დამსაქმებლის ნებით.	• საინფორმაციო აქტივობა მსოფლიო ტუბერკულოზის დღესთან დაკავშირებით • ეროვნულმა პროგრამამ განიხილოს რეგიონში დიაგნოსტიკური ცენტრების გაძლიერების საკითხი. • სამთავრობო სისტემასა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოზირება. • ამბულატორიული მკურნალობის ადვოკატირება; • ტუბერკულოზის სამსახურსა და ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერება	• ჯანდაცვის სამინისტრომ იმუშაოს სადიაგნოსტიკო დისპანსერების გაძლიერებაზე რეგიონებში. • ჯანდაცვის სამინისტრომ გააგრძელოს ამბულატორიული მკურნალობისთვის ადვოკატირება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანზე ორიენტირებულ მკურნალობის მოდელს, მათი სიტუაციური საჭიროებების თანახმად.
---	---	---

• V- მკურნალობაზე დამყოლობისთვის მხარდაჭერის მიღების ბარიერები

• მკურნალობის გადადება ოჯახური ვალდებულებების გამო, მათ შორის ბავშვების მოვლის ვალდებულება. • საზოგადოებაში არსებობს მითი, რომ წამალი ჯერ არ არის გამოცდილი და ტესტირება ამ პირებზე ხორციელდება.	• ცნობიერების /ინფორმირებულობის ასამაღლებელი კამპანია, რომელიც მიაწვდის განახლებული ინფორმაციას, სადა უნდა გაიარონ ძირითადი სამედიცინო შემოწმება და როგორ შეძლონ სიმპტომების ამოცნობა. (მათ შორის ტუბერკულოზის საერთაშორისო დღის ფარგლებში) • ოჯახის მიერ ქალების მხარდაჭერის საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა როლის გაძლიერებას როგორც თემის და ოჯახის ჯანმრთელი და სრულფასოვანი წევრისა. მიზნობრივი კამპანია ეთნიკური ჯგუფებისთვის და ქალებისთვის. • მკურნალობის პროცესში მხარდაჭერთა ცნობიერების ამაღლება მამაკაცთა მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის საჭიროებებზე. • საგანმანათლებლო კამპანია რომელიც მიზნად ისახავს, მიაწოდოს ინფორმაცია პირებს, რომ არ შეიძლება მკურნალობის შეწყვეტა ჯანმრთელობის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო. (მაგალითად, ილუსტრირებული ლექციები).	• NTP და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ საერთო მხარდაჭერის გეგმაზე. უზრუნველყონ პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების მიწოდება. ფსიქოლოგიური სერვისი უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური (ქალებისთვის, მამაკაცებისთვის, ტრანსგენდერი ადამიანებისთვის) • მრგვალი მაგიდის ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ ჯანდაცვის სფეროში ტუბერკულოზთან დაკავშირებული შესყიდვების ტენდერების რაოდენობის გაზრდას (შესაძლებლობის შესაბამისად).
---	--	--

• VI- -მკურნალობის დასრულების ძირითადი ბარიერები

• სოციალურად დაუცველი პირი, რომელიც იღებს სოციალურ დახმარებას, პროგრამის ინსენტივი აღერიცხება, როგორც შემოსავალი და სოციალური დახმარება შესაძლოა მოეხსნას. • ზოგიერთ ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულებას აქვს ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაც პაციენტებს მკურნალობის მიტოვებისკენ უბიძგებს. • პაციენტები უარს ამბობენ DOT-ის მედლის მიერ სახლში მოწოდებულ მედიკამენტებზე, რადგან შიშობენ, რომ ვინმემ შეიძლება დაინახოს. • საზოგადოებამ შესაძლოა აღიქვას ტუბერკულოზის მქონე პაციენტი, როგორც ნარკომომხმარებელი ან ყოფილი პატიმრი (რაც ორმაგი სტიგმაა) • მკურნალობის შეჩერება, რადგან ფიზიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა მკურნალობის დასრულებამდე; • მამაკაცებმა განაცხადეს, რომ თავს გამოუსადეგარად თვლიდნენ, სუიციდური ფიქრები აწუხებდათ – ამის გამო შეწყვიტეს მკურნალობა. • ნარკოტიკის მომხმარებელ პაციენტებში უკეთესობა გვიან შეინიშნება, ამის გამო მათ შესაძლოა ნაადრევად შეწყვიტონ მკურნალობა.	• უზრუნველყოფა, რომ ოჯახის წევრებმაც მიიღონ კონსულტაცია ფსიქოლოგთან; • აივ/მიდის თემის და მათთან მომუშავე ორგანიზაციების ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები ტუბერკულოზთან დაკავშირებით. • შესაბამის ორგანიზაციასთან ადვოკატირება იმისა, რომ ინსენტივები არ აღირიცხოს, როგორც შემოსავალი. • ტუბერკულოზის სამსახურმა ითანამშრომლოს ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა განხორციელდეს ამბულატორიული საქმიანობა. • სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ტესტირება კონფიდენციალური უნდა იყოს.	- უფლებებისა და კონფიდენციალურობის საკითხებზე მრგვალი მაგიდის ორგანიზება; - მაღალი დონის შეხვედრისთვის ორგანიზების გაწევა ჯანდაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, კორექსონდენტი ბანკის მონაწილეობით, იმის თაობაზე, რომ ინსენტივი არ აღირიცხოს, როგორც შემოსავალი. - ტესტირების კონფიდენციალურობის დაცვა ჯანდაცვის სამინისტრომ და ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულებებმა უზრუნველყონ.
---	---	---

• VII- მკურნალობის შემდგომი მომსახურების მიღების ძირითადი ბარიერები

• პაციენტები ვერ აცნობიერებენ მკურნალობის შემდგომი პროცედურების საჭიროებას (განმეორებითი ტესტირება) მას შემდეგ რაც დაასრულებენ მკურნალობას. ყოფილი პაციენტებს არ სურთ, რომ ცხოვრების ეს პერიოდი შეახსენონ.	• აუცილებელია ექიმების ინფორმირება პაციენტების მკურნალობის შემდგომი შემოწმების შესახებ, მაშინაც როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება. • მკურნალობის შემდგომი მომსახურების მიღების პროცესში ჩართვის წამახალისებელი აქტივობების დანერგვა.	• საინფორმაციო კამპანია მკურნალობის შემდგომ პერიოდში ტესტირების აუცილებლობაზე (აღნიშნული საკითხი დაფარულია TB REP 2.0 პროგრამის ფარგლებში „ახალი ვექტორის“ მიერ სემუშავებულ ვიდეო რგოლში) • NTP-მ უნდა გააგრძელოს პაციენტების ინფორმაციით უზრუნველყოფა - მკურნალობის შემდგომი გადამოწმების აუცილებლობის შესახებ.
--	--	---

შეფასების მეთოდები

1. ძირითადი ჯგუფი

ძირითადი სამიზნე ჯგუფი შეიქმნა შეფასების მიზნების გადახედვისათვის 2019 წლის 5 სექტემბერს. ძირითადი ჯგუფი, ასევე მიზნად ისახავს გასცეს/მიიღოს უკუკავშირი და დაზარალებული მოსახლეობის ჩართულობას გაუწიოს დახმარება.

ჯგუფის წევრები შეირჩნენ მათი ტუბერკულოზის სფეროში გამოცდილების მიხედვით. ძირითადად, წევრები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა პროექტების ფარგლებში უმუშავიათ და ურთიერთობა ჰქონიათ ტუბერკულოზის მქონე პაციენტებთან. ტუბერკულოზის მქონე პაციენტებისთვის მედიკამენტების, სოციალური და ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდების გარდა, წარმომადგენლები, ასევე, მონაწილეობდნენ ადვოკატირების პროცესებში, რომ ტუბერკულოზის მქონე პაციენტები უზრუნველყოთ საჭირო სერვისებით და უფლებებით. შეფასების მიზნების გადახედვისათვის ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელიც იყო ძირითად ჯგუფში. სულ 7 წევრი იყო ჩართული ძირითადი ჯგუფის მუშაობაში.

პირველი გაცნობითი შეხვედრა 2019 წლის 5 სექტემბერს გაიმართა პირისპირ, სადაც პროექტი და პროექტის პერსონალი წარადგინეს. ამის შემდეგ, პროცესი წარიმართა ინტერნეტის საშუალებით. ზირითადადმა ჯგუფის წევრებმა კონსულტაცია გაიარეს სხვადასხვა თემებზე, მათ შორის პროტოკოლის და ინსტრუმენტების, მოწვეული დაინტერესებული მხარეების, ექსპერტების, საექსპერტო ინტერვიუებსა და მოხსენებებში ჩართვის შესახებ.

2. დაინტერესებული მხარეების შეხვედრები

დაინტერესებული მხარეების შეხვედრის მიზნები იყო:

- წინასწარი სამაგიდო მიმოხილვის შედეგების დადგენა, რეკომენდაციების მიცემა და მონაცემების შეგროვების საშუალებების დამტკიცება, კონსენსუსის მიღწევა შეფასების პრიორიტეტულ პოპულაციებთან დაკავშირებით, საზოგადოებასთან, უფლებებთან, სქესთან და სტიგმასთან დაკავშირებული პრიორიტეტული ბარიერების წარდგენა, განხილვა და დამტკიცება.
- რეკომენდაციების გაზიარება თუ როგორ უნდა, მოიხსნას ბარიერები, რომლებსაც პრიორიტეტი მიენიჭება
- მოქმედებების შემუშავება ტუბერკულოზის ეროვნულ სტრატეგიაში ჩასართავად, გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში.

მონაწილეთა შემადგენლობა: მრავალ დაინტერესებულ მხარეში შედიოდნენ შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მომსახურების მიმწოდებელი სტრუქტურების წარმომადგენლები, ტუბერკულოზით დაავადებული პირები.

პრიორიტეტის მინიჭების მრავალი დაინტერესებული მხარის სამუშაო შეხვედრა გაიმართა 24 ოქტომბერს 2019წ. ხოლო დადასტურების სამუშაო შეხვედრა – 27 თებერვალს 2020წ.

3. სამაგიდო მიმოხილვა

სამაგიდო მიმოხილვა შეიცავდა და ჩამოყალიბდა მთელი შეფასების განმავლობაში. პერსონალის სამი წევრი მუშაობდა დოკუმენტებზე: კვლევის კონსულტანტი, იურიდიული კონსულტანტი, და გენდერის კონსულტანტი. ინფორმაცია მიღებულ იქნა სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის, ეროვნული გეგმებიდან, გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომებიდან, მოხსენებებიდან, სტატისტიკური მასალა მიღებულ იქნა შესაბამისი სტრუქტურებიდან. (ტუბერკულოზის ცენტრი, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრი, პენიტენციური სისტემა და სხვა) სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში.

სამაგიდო მიმოხილვის და 2015 წლის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის პროტოკოლის თანახმად შემდეგი ტუბერკულოზის მაღალი რისკის ჯგუფები გამოიკვეთა განსახილველად:

1. ტუბერკულოზის მქონე პაციენტების ოჯახის წევრები და სხვა კონტაქტში მყოფი პირები
2. პათიმრობაში მყოფი პირები და პათიმრობიდან გათავისუფლებული პირები;
3. აივ/შიდსის მქონე პირები;
4. ადამიანები რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკებს, თამბაქოს და ალკოჰოლის მომხმარებლები.
5. დიაბეტის მქონე პირები;
6. პაციენტები კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით
7. მენტალური პრობლემების მქონე პაციენტები;
8. პაციენტები, რომლებიც გადიან რადიოთერაპიას, სტეროიდულ და ციტოსტატიკურ მკურნალობას
9. მცირე სხეულის მასის მქონე პირები
10. პაციენტები ორგანოს გადანერგვის შემდეგ;
11. ჰემოდიალიზის პაციენტები;
12. წარსულში ტუბერკულოზის მქონე პირები
13. დაუცველი ადამიანები:
 - a. იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილი);
 - b. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები პირები
 - c. უსახლკარო ადამიანები;
 - d. მიგრანტები;

14. ტუბერკულოზზე მომუშავე პერსონალი
15. მალაროელები
16. ბავშვები(მათ შორის ROMA)

4. სამიზნე პოპულაციისთვის პრიორიტეტის მინიჭება

პროცესი

პრიორიტეტის მინიჭების სამუშაო შეხვედრაზე მუშაობის დაწყებამდე მონაწილეებს გააცნეს სამუშაო შეხვედრის მიზნები და ამოცანები, ასევე დავალების აღწერა და მნიშვნელობა, პრიორიტეტულობის ცხრილი, პრიორიტეტის მინიჭების სისტემა და სამიზნე პოპულაციების ჩამონათვალი. დავალების დაწყებამდე მონაწილეები დაიყვნენ სამ მცირე ჯგუფში, თითოეულ ჯგუფს დაევალა 5 სამიზნე პოპულაციას განხილვა. მათ დავალება პრიორიტეტის მინიჭების სისტემის მიხედვით უნდა შეესრულებინათ, განეხილათ თითოეული სამიზნე პოპულაცია ცალ-ცალკე და საბოლოოდ წარედგინათ მათი ნამუშევარი მოსმენაზე. მოსმენაზე განხილვის და შედარების შედეგად 3 ძირითადი სამიზნე პოპულაცია შეირჩა:

დაინტერესებული პირების ჩართულობა

როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო და თემის ორგანიზაციების ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სხვადასხვა მოსაზრებების მხედველობაში მიღება გახდა შესაძლებელი, რამაც განაპირობა ტუბერკულოზით დაზარალებული პირების ძირითადი ბარიერების შესახებ პროდუქტიული განხილვის ჩატარება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ ტუბერკულოზით დაზარალებულ პირებთან მუშაობის გამოცდილება და კომპეტენცია, რომ მათი წარმომადგენლის სახით იაუბრონ. მონაწილეების ჩამონათვალში შედიან ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ნარკომომხმარებელ პირებზე, ვინაიდან ნარკომომხმარებლები ერთ-ერთ რისკ ჯგუფს წარმოადგენენ. მათ აღნიშნეს, რომ ნარკომომხმარებლებს აქვთ დამატებითი სპეციალური საჭიროებები, როდესაც საქმე ტუბერკულოზის მკურნალობას და მის შესახებ ინფორმირებულობას ეხება. წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკის გათვალისწინებით, ტუბერკულოზით დაავადებული პირების რისკჯგუფში და ტუბერკულოზით დაავადებული ყოფილ პატიმართა რისკჯგუფში ხშირ შემთხვევაში ერთიდაიგივე პირები შეიძლება შედიოდნენ.

სამი პრიორიტეტული სამიზნე პოპულაცია, ქულებით და აღწერით

სამიზნე პოპულაცია	ქულა	აღწერა
ნარკომომხმარებლები	5	საქართველოში ნარკოტიკების მოხმარება კანონდარღვევად ითვლება. ამის გამო ნარკომომხმარებლები დახურული ჯგუფია, სადაც უფრო რთულია მთავრობის მიერ გაწეული მომსახურებების განხორციელება. მიუხედავად ამისა, ეს არის ჯგუფი, რომელსაც ცნობიერების ამაღლება და უფლებების დაცვა სჭირდება.
იძულებით გადაადგილებული პირები	4	ტუბერკულოზი კვლავ აღმოჩნდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა იძულებული გახდა სხვა რეგიონში გადასულიყო და მინიმალური კომფორტის პირობებში ეცხოვრა, რის გამოც ბევრი მათგანი ტუბერკულოზით დაავადდა..
ყოფილი პატიმრები.	5	ციხეებში ტუბერკულოზის გავრცელების მაღალი მაჩვენებელია, რადგან ბევრი ადამიანი სივრცეში იმყოფება, მინიმალური კომფორტის პირობებში. პატიმარს ციხეში მკურნალობის გამოცდილება აქვს, რადგან მკურნალობის პროგრამა ციხეში ხორციელდება. მათ შესაძლოა განსხვავებული გამოცდილება ჰქონდეთ.

5. მონაცემთა შეგროვება

ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდები

თვისობრივი ინფორმაცია სტიგმის, გენდერის, იურიდიული და ნებისმიერი სამიზნე პოპულაციის სპეციფიკური ბარიერების დასადგენად შეგროვდა შემდეგი მეთოდებით:

- სამაგიდო კვლევა
- ინტერვიუები მთავარ ინფორმატორებთან (ექსპერტებთან)
- სიღრმისეული ინტერვიუები - ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან, მომსახურების მიმწოდებლებთან;
- ფოკუს ჯგუფები

შეფასების პროტოკოლი, ასევე ინტერვიუს სახელმძღვანელო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრი ეთიკის საბჭოს წარუდგინეს 2019 წლის 3 დეკემბერს და დამტკიცდა 2019 წლის 9 დეკემბერს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მონაცემთა შეგროვების პროცესია წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს იდენტიფიცირებულ რესპონდენტებს, მეთოდს, მონაწილეთა რაოდენობას ასევე, როგორ შეირჩნენ მონაწილეები.

შეგროვებულ მონაცემთა ცხრილი

მონაცემთა შეგროვება		მეთოდი	მონაწილეთა რაოდენობა	ინსტრუმენტი თემის, ადამიანთა უფლებების და გენდერის პროტოკოლში	მონაწილეები
1	ტუბერკულოზის მქონე ან წარსულში ტუბერკულოზის მქონე პირები – ძირითადი	IDI	30 (გენდერული ბალანსი): 7 PWUD, 7 ადამიანები პატიმრობის ისტორიით, 7 IDP, 2 LGBTQI, 7 ძირითადი პოპულაცია	დაავადების და მკურნალობის სიდრმისული ინტერვიუს სახელმძღვანელო	ტუბერკულოზის მქონე პირები (გენდერული ბალანსი), რომლებსაც დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს.
2	ტუბერკულოზის მქონე პირები – ძირითადი	FGD	10	ტუბერკულოზის მქონე პირთა-სტიგმა ფოკუს ჯგუფების განხილვის სახელმძღვანელო - საერთო	ტუბერკულოზის მქონე პირები (გენდერული ბალანსი), რომლებსაც დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს.
3	ტუბერკულოზის მქონე პირები – ქალები	FGD	6	ტუბერკულოზით დაზარალებული პირების ფოკუს ჯგუფების განხილვის სახელმძღვანელო - გენდერი	ტუბერკულოზის მქონე ქალები, რომლებსაც, დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს.
4	ტუბერკულოზის მქონე პირები – კაცები	FGD	10	ტუბერკულოზით დაზარალებული პირების ფოკუს ჯგუფების განხილვის სახელმძღვანელო - გენდერი	ტუბერკულოზის მქონე კაცები, რომლებსაც, დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს.
5	ტუბერკულოზის მქონე პირები – KP PWID	FGD	10	ტუბერკულოზით დაზარალებული პირების ფოკუს ჯგუფების განხილვის სახელმძღვანელო – შერჩეული სამიზნე პოპულაციები	სამიზნე პოპულაციები, რომელთაც გასული 5 წლის განმავლობაში დაუდგინდათ ტუბერკულოზის დიაგნოზი. სამიზნე პოპულაციების ჯგუფი არის გენდერულად სენსიტიური (მაგალითად: ნარკომომხმარებლები, ქალი სექსუალური მომსახურების მფლობელები, 10 წევრი გენდერის მიხედვით დაყოფილი ორად (5 ქალი, 5 კაცი))
6	ტუბერკულოზის მქონე პირები – KP ადამიანები პატიმრობის ისტორიით	FGD	6		ოჯახის წევრები, რომლებიც ზრუნავდნენ ტუბერკულოზის მქონე პირსზე, რომელსაც დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს.
7	ტუბერკულოზის მქონე პირები – KP IDP	FGD	6		
8	ტუბერკულოზის მქონე პირები - ოჯახი	FGD	6	ოჯახის-სტიგმა ფოკუს ჯგუფის განხილვის სახელმძღვანელო + გენდერული საკითხები	ოჯახის წევრები, რომლებიც ზრუნავდნენ ტუბერკულოზის მქონე პირსზე, რომელსაც დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს.
9	თემი	FGD	10	თემი-სტიგმა ფოკუს ჯგუფის განხილვის სახელმძღვანელო	2-3 სამეზობლოს წარმომადგენლები, სადაც დაფიქსირებულია ტუბერკულოზის შემთხვევები გასული 5 წლის განმავლობაში.
10	ჯანდაცვის მუშაკები (HCW)	FGD	10	ჯანდაცვის მუშაკები-გენდერული ფოკუს ჯგუფების განხილვის სახელმძღვანელო (სულ 10 მონაწილე)	ჯანდაცვის მუშაკები, რომლებიც გასული 5 წლის განმავლობაში აწვდიდნენ ტუბერკულოზის მქონე პირებს სერვისებს.
11		FGD	10	ჯანდაცვის მიმწოდებლების ფოკუს ჯგუფის განხილვის სახელმძღვანელო - შერჩეული სამიზნე პოპულაციები და ადამიანის უფლებები (სულ 10 მონაწილე)	

12	დაინტერესებული მხარეები – ძირითადი ინფორმატორები	KII	25	სამიზნე ინფორმატორების ინტერვიუს სახელმძღვანელო	ქვეყნის პოლიტიკოსები და ექსპერტები (ადამიანის უფლებები, გენდერი, სტიგმა და სამი შერჩეული სამიზნე პოპულაცია); NCDC და NTP.
13	ძირითადი ჯგუფი	FGD	6	საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო	ქვეყნის პოლიტიკოსები და ექსპერტები (ჯანმრთელობის, სოციალური, იურიდიული), ქვეყნის ექსპერტები (იურიდიული, გენდერი, სამიზნე პოპულაციები, სტიგმის საკითხები) და მედიის თანამშრომლები
სულ მონაწილეები: 145					

მონაწილეთა ჩართვის კრიტერიუმები

ყველა (ზემოთ ხსენებული) მონაწილე ასაკობრივ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, უნდა იყოს 18 წლის ან უფროსი. ყველა მონაწილემ განაცხადა თანხმობა იმის შესახებ, რომ მონაცემები გამოყენებულ იქნას შეფასების პროცესში. რესპოდენტები იყვნენ: 1. წარმომადგენელი პაციენტები 2018/2019 კოჰორტიდან ან პირები რომლებსაც დიაგნოზი გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს. 2. ჯანდაცვის მუშაკები, რომლებიც პაციენტებს სამკურნალო სერვისებს ტუბ-დაწესებულებებში აწვდიან, შერჩეული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ. 3. ადგილობრივი მმართველობის სააგენტოებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში შერჩეული სამიზნე ინფორმატორები. თითოეულ თემაზე რესპოდენტთა არჩევისას გამოყენებულ იქნა ცხრილში მოცემული სტრუქტურა:

საკანონმდებლო გარემო	სტიგმა	გენდერი
• ტუბერკულოზით დაზარალებული პირი, რომელსაც გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს დიაგნოზი ან/და • დაინტერესებულია ან მუშაობს ადამიანის უფლებათა მიმართულებით, სამართლებრივი მნიშვნელობის კავშირშია ტუბერკულოზზე რეაგირების პროცესთან.	• 2018 ან 2019 წლის კოჰორტის წევრი • 2018 ან 2019 წლის კოჰორტის ოჯახის წევრი • ბოლო კოჰორტის წევრი (ე.წ. “ძირითადი”) • 2018 ან 2019 წლის კოჰორტის ჯანდაცვის მიმწოდებლები	• ტუბერკულოზით დაზარალებული პირი, რომელსაც გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს დიაგნოზი ან/და • დაინტერესებულია ან მუშაობს გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე ტუბერკულოზზე რეაგირების პროცესში. სამიზნე პოპულაციები • ტუბერკულოზით დაზარალებული პირი, რომელსაც გასული 5 წლის განმავლობაში დაუსვეს დიაგნოზი ან/და • თვლიან, რომ ეკუთვნიან ზემოაღნიშნულ სამიზნე პოპულაციის ჯგუფებს. ან/და • დაინტერესებული არიან ან მუშაობენ ზემოაღნიშნულ სამიზნე პოპულაციებთან ტუბერკულოზზე რეაგირებასთან კავშირში.

ლიტერატურული მიმოხილვა

და კვლევის შედეგების აღწერა

1. სამართლებრივი ასპექტები / ადამიანის უფლებები

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კანონმდებლობა უნდა დავყოთ ორ ნაწილად, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობაში არის გაწერილი ადამიანის უფლებები, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება პაციენტთა უფლებებს და მეტად ჩაშლილია და დაკონკრეტებულია უფლებები, რომლებიც სპეციფიკურად პაციენტები საჭიროებენ. საქართველოს კანონმდებლობაში ადამიანის უფლებები არის დაცული, როგორც კონსტიტუციით ასევე, კანონით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, კანონით პაციენტთა უფლებების შესახებ, კანონით ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ, პატიმრობის კოდექსით და კანონით პატიმრობის შესახებ, რომელიც იცავს პატიმართა უფლებებსა და პენიტენციური სისტემის რეგულირების სფეროს მოიცავს. პირის შრომით უფლებებს კი იცავს, როგორც კონსტიტუცია ასევე უფრო კონკრეტული კანონები, როგორებიცაა შრომის კოდექსი და კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. როგორც სამაგიდო კვლევაშია აღნიშნული პაციენტთა უფლებები შესაძლებელია დარღვეულიყო ამ სამართლებრივი კუთხით. როგორც ჩატარებული კვლევიდან გამოიკვეთა ასევე დგება საჭიროება იქნეს განხილული საქართველოში მოქმედი „საექიმო საქმიანობის შესახებ კანონი“, რომელიც უზურნველყოფს ექიმთა სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ეს იქნება კონფიდენციალურობის დათქმისა თუ უფლების ბოროტად გამოყენების საკითხში. საქართველოში ასევე მოქმედებს „სოციალური დახმარების შესახებ კანონი“, რომელიც უზურნველყოფს ადამიანის იმ უფლებებს, რომლითაც აღჭურავს სახელმწიფო, მიიღოს შემწეობა გარკვეული სოციალური მოწყვლადობის დროს. ტუბერკულოზთან ბრძოლისათვის ასევე შეიქმნა ეროვნული სტრატეგია, რომლის განხორციელების პერიოდია 2019-2022 წლები. იგი უზურნველყოფს ტუბერკულოზის პრევენციისა და კონტროლის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების გამართულ მუშაობას, რომელთა ფარგლებშიც რეგულირდება მოქალაქის უფლება, მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება დისკრიმინაციისაგან თავისუფალ გარემოში, სადაც დაცული იქნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, თავისუფლებები და გარანტიები.

	ბარიერები ადამიანის უფლებების ქრილში	ადგილობრივი კანონმდებლობის განხილვა
I ეტაპი - სიმფტომების ამოცნობა	საზოგადოებაში ინფორმირებულობის ნაკლებობა ტუბერკულოზის დაავადების სიმპტომების შესახებ..	„ტუბერკულოზის შესახებ კანონი“ სახელმწიფო სტრუქტურებს ავალდებულებს ტუბერკულოზის კონტროლისათვის შეიმუშაონ მექანიზმები. კერძოდ მე-3 თავის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი ეხება ტუბერკულოზის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ სამუშაოებსა და ღონისძიებებს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტი განმახორციელებელ ორგანოებს ტუბერკულოზის შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას პირდაპირ ავალდებულებს.
	ოჯახის ექიმების ინფორმირებულობის ნაკლებობა, რაც იწვევს რეაგირების ნაკლებობასა და პაციენტის რეფერირების დაგვიანებას.	ექიმთა ინფორმირებულობის ამაღლებას ასევე სახელმწიფო სტრუქტურა უნდა ანხორციელებდეს, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ და ასევე „საექიმო საქმიანობის შესახებ კანონი“ ექიმს ავალდებულებს განახორციელოს საკუთარი კარიერული წინსვლა და განათლების უწყვეტად მიღება. ასევე ჯანმრთელობის შესახებ კანონის შესაბამისად 48-ე მუხლი სახელმწიფოს ექიმების ინფორმირებულობის ამაღლებაზე ზრუნვას ავალდებულებს.
II ეტაპი - მკურნალობის მოძიება	ოჯახის ექიმების მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენება, რაც გულისხმობს ძვირადღირებული კვლევების ჩატარებას კლინიკაში.	ჯანმრთელობის შესახებ კანონის 30-ე მუხლის თანახმად სამედიცინო პერსონალს მოეთხოვება იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით, ისინი ვალდებული არიან იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად. ასევე მათი მოვალეობაა პაციენტთან ურთიერთობის პროცესში, არ იმოქმედონ ანგარებით მათი ან მესამე პირის სასარგებლოდ. ძვირადღირებული კვლევების ჩატარების აუცილებელი მოთხოვნა კი არღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს..
	რეგიონებში გეოგრაფიული ბარიერები გამოიკვეთა, რადგანაც იქ არსებობს დისკრიმინაციული მოპყრობა. პირი მოდის დედაქალაქში, რათა იქ ჩაიტაროს გამოკვლევები, მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება სერვისების მიღება, რაც ვერ ხერხდება დედაქალაქში და ვერ იღებს სერვისებს უფასოდ და თანხის გადახდა უწევს.	დისკრიმინაციული მოპყრობა არღვევს პირის უფლებებს, რომელიც გარანტირებულია როგორც საერთაშორისო სამართლით, ისე ეროვნული კანონმდებლობით. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია პაციენტების დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით. მკურნალობის დაწყებამდე და შემდეგ.
	ადამიანის შრომითი უფლებები ირღვევა, როდესაც არ უნარჩუნდება სამსახური და ხანგრძლივი მკურნალობის გამო კარგავს მას.	ტუბერკულოზის მკურნალობა მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს, სტაციონარში მოთავსებას გარკვეული ვადით და შემდგომ მკურნალობის გაგრძელებას, რაც ხელს უშლის პირს იყოს დასაქმებული და პროდუქტიული შრომით სივრცეში. საქართველოს კანონმდებლობა, შრომით უფლებებს იცავს ზოგადად, როგორც ეს მოცემულია კონსტიტუციაში, ხოლო შრომის კოდექსით გათვალისწინებული არ არის პაციენტის მკურნალობის პროცესში სამუშაო ადგილის შენარჩუნება. დამსაქმებელმა შესაძლოა შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება თუ შრომისუნარიობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს.

II–III Key Barriers to Seeking Care and Key Barriers to Getting an Accurate Diagnosis	საპატიმროში მყოფი პაციენტები უარს ამბობენ მედიკამენტების მიღებაზე, რათა მათი მდგომარეობა დამძიმდეს და კანონის საფუძველზე მოხდეს მათი ვადაზე ადრე განთავისუფლება.	ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში პატიმართა უფლებებს აწესრიგებს, როგორც კანონი პატიმრობის შესახებ ასევე პატიმრობის კოდექსი. პატიმრობის შესახებ კანონის 67-ე მუხლი უშვებს რომ პატიმარი ავადმყოფობის გამო იქნეს სასჯელისგან განთავისუფლებული. პატიმარს უნდა ჰქონდეს განუკურნებელი სენი ან ძალიან მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ საკითხზე მსჯელობს სასამართლო და იღებს გადაწყვეტილებას მოკვლევის საფუძველზე. ასევე პატიმრობის კოდექსიც ითვალისწინებს 39-ე მუხლის საბუძველზე ავადმყოფობის გამო მსჯავდებული განთავისუფლებას. რა თქმა უნდა კანონით გათვალისწინებული განთავისუფლების დროს ყურადღება ექცევა დანაშაულის სიმძიმესა და სახეს. კანონში ეს ჩანაწერი ქმნის პატიმრებისათვის იმის შეხედულებას, რომ ისინი აუცილებლად განთავისუფლდებიან სასჯელისგან თუკი ექნებათ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა. ამის გამო კი ისინი უარს ამბობენ მკურნალობაზე და თვითნებურად იმძიმებენ ჯანმრთელობის მდგომარეობას..
	სკოლაში: „თვითონ დამრიგებელმა მოითხოვა, რომ გამოსაშვებ სადამოშუ არ წამოსულიყო მოსწავლე“. „მას სკოლაში არ უშვებდნენ“ „თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა“	ამ ოთხი შემთხვევის განხილვა შესაძლებელია ერთ ჭრილში, ირლვეა ადამიანის თანასწორობის უფლება/ დისკრიმინაციის აკრძალვა. ოთხი შემთხვევიდან სამი არის მომხდარი საჯარო დაწესებულებაში, ხოლო მესამე კერძო კლინიკაში. მიუხედავად ამისა სახელმწიფოს ევალება აკონტროლოს ჯანმრთელობის სერვისების მიწოდებული დაწესებულებისა და ექიმის მიერ წარმოებულ საქიანბა დამოუკიდებელი იქნება ეს თუ საჯარო დაწესებულებაში, ექიმი იყოს მოუკერძოებელი და დისკრიმინაციისგან თვისუფალი გარემო შეუქმნას პაციენტებს. ხოლო რაც შეეხება საჯარო დაწესებულებაში მომხდარ დარღვევებს, საბავშვო ბაღსა და სკოლაში, დაუშვებელია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დისკრიმინაცია.
	„ბიძას ჰქონდა ტუბერკულოზის დაავადება და ბავშვი გამოაგდეს ბაღიდან“.	
	პაციენტს ბაღში დაყავდა ბავშვი და როდესაც გაიგეს მისი ტუბერკულოზის დიაგნოზის შესახებ სირცხვილის კოლიდორი მოუწყეს და გამოაგდეს ბავშვი ბაღიდან.	
	პაციენტი სამსახურიდან გამოუშვიათ მისი სამედიცინო მდგომარეობის გამო.	
IV Key Barriers to Beginning Treatment	პირი სტომატოლოგთან ვიზიტის დროს არ მიიღეს, მომსახურებაზე უარი უთხრეს და განუცხადეს, რომ მისთვის განკუთვნილ „სპეციალურ“ სტომატოლოგიურ კლინიკაში წასულიყო.	
	როდესაც პირი არის სოციალურად დაუცველი და იღებს მკურნალობისათვის წამახალისებელ თანხას, სახელმწიფო მას ამ თანხას უთვლის შემოსავლის წყაროდ და ანიჭებს ქულას. შედეგად პირს ეხსნება სოციალური დახმარება ან უმცირდება იგი. ეს ქმნის დამატებით ბარიერს.	ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს პირებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები (აქვთ ფინანსური თუ საცხოვრებელი სახლისა და შემოსავლის პრობლემები) ფინანსურ უზრუნველყოფას. სახელმწიფო მათ აფასებთ ქულების მიხედვით და უნაწილებს საარსებო მინიმუმს. ზემოთხსენებულ ურთიერთობას აწესრიგებს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ ეს კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, დატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე. მე-7 მუხლის მიხედვით საარსებო შემწეობა ეძლევა ოჯახებს იმ მიზეზით, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იქნეს გაუმჯობესებული. „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ კანონის საფუძველზე გაცემულ წამახალისებელ თანხას, სოციალური დახმარების მაკონტროლებელი ორგანო თვლის შემოსავლად და უხსნის საარსებო შემწეობას, რადგან თვლიან, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. აღნიშნული ქმედება არსებითად არღვევს წმახალისებელი თანხის სამართლებრივ დანიშნულებას.

IV Key Barriers to Beginning Treatment	მკურნალობაში ჩართვისათვის განკუთვნილი წამახალისებელი თანხის 100 ლარის ჩარიცხვა პირს 2 თვე დაუგვიანდა.	„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ კანონი მე-17 მუხლის საფუძველზე პაციენტისათვის ფულადი წახალისების გადაცემას ითვალისწინებს. სახელმწიფომ აუცილებელია იგი უზრუნველყოს დროულად რამდენადაც იგი ატარებს წამახალისებელ ხასიათს და დამყოლობაზე მოქმედებს. ასევე ეს თანხა გათვალისწინებულია ტრანსპორტირებისათვის კვებისათვის და დამატებითი ხარჯების წარმოქმნისათვის. როდესაც თანხა გვიანდება პაციენტს უწევს საკუთარი ხარჯებით დაფაროს იგი ან თუ არ აქვს ასეთი, შეწყვეტოს მკურნალობა.
V ეტაპი - მკურნალობის პროცესში დამყოლობის საჭირო მხარდაჭერა	„პაციენტს ერთ-ერთი ტუბ დისპანსერის დააწესებულებაში გაჩერება გაუჭირდა, იყო ინფრასტრუქტურული პრობლემები და არ იყო წყალი“.	„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მართვის მექანიზმების კონტროლის ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს, , მისი „კ“ ქვეპუნქტი კი სახელმწიფოს ავალდებულებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ეპიდემიოლოგიური კონტროლი იყოს გამართული. როდესაც ტუბ დაწესებულებას არ აქვს წყალი და აქვს ინფრასტრუქტურული პრობლემები სახელმწიფოს მხრიდან არის დარღვეული კონტროლის მექანიზმი.
	განკურნებულ პაციენტს პოლიციის აკადემიაში სწავლა უნდოდა და იგი სამედიცინო მდგომარეობის გამო არ მიიღეს.	საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი პირის განათლების მიღების უფლებას იცავს. ყველას აქვს განათლების და მისი ფორმის არჩევის უფლება. ეს ნიშნავს, რომ ამ უფლების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეზღუდვა არის ზემონახსენები უფლების დარღვევა.

	პირი, როდესაც არის ბაცილ გამომყოფი, არანებაყოფლობითი იზოლირების კანონის აღსრულების მექანიზმები არ არსებობს, იგი არ გულისხმობს იძულებით მკურნალობას, იგი გულისხმობს მხოლოდ იზოლირებას.	„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ კანონში არის არანებაყოფლობითი იზოლირების მექანიზმი. მე-15 მუხლი განსაზღვრავს მის გამოყენების წესსა და პირობებს. არ არსებობს მე-16 მუხლით გათვალისწინებული პაციენტის უზრუნველყოფის ისეთი საშუალებები როგორებიცაა: საცხოვრებელი, კვება, ტანსაცმელი და ა.შ. ეს მექანიზმი არ მუშაობს და არანებაყოფლობითი იზოლირების შემთხვევები ბოლო 5 წელი არ გვქონია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის არქივის ცნობების მიხედვით.
